ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 303. კვირა, 15 მაისი 1911 წ. დამატების № 53

სანდლები!

ერთი მრავალთაგანი ამბავი

(დასასრული *)

ვანიკო გაექანა იმ ოთახისკენ, საიდანაც ყვირილი მოისმოდა და მოშველეთაგან ხელებ გაკავებულს სვიმონს შველა დაუწყო; ზოგს წაჰკრა, ზოგს კალთა მოაგლიჯა... საშინელი კრივი გაიმართა. ვინ ვის სცემდა, ვინ აშველებდა, აღარ გაირჩევოდა. ვანიკოს ამოწვდილი ხანჯალი მოჩხუბართა თავებზე ტრიალებდა. კლუბის მოურავები, ლაქიები, სტუმრები დიდ ალიაქოთში იყვნენ. ვალამაც პოლიციაც მოიხმო და ჩვენი გმირი თავდები რის ვაიოვაგლახით გააბძანეს. ამ დროს ზალაში ისევ მუსიკა გრიალებდა, „მაზურკა“ გაჩაღებული იყო და ქალაქლის მოთამაშეთა „სკანდალი“ თითქმის შეუმჩნეველად დარჩა. მხოლოდ ანიკო იდგა კუნჭულში სასოება დაკარგული და ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. ვისთვის მიემართნა ამ აუარებელ ხალხში? რა ექმნა, როგორ მოქცეულიყო? მოთამაშენი კი პროწიალობდნენ, სცეკვავდნენ, როკავდნენ... საქმე ვის ჰქონდა უბედურ ანიკოსთან?

მარიამ ზაქარია ამილახვრის ასული ეგაძისა,
რომელმაც ქვემო ჰალის სახლი შესწირა სათ-აზ. ბ-ბნ ზიას.

მაყურებელი ხალხი თან და თან დაიშალა, ზალებში მარტო მოცეკვავენი ლა დაჰფრიალებდნენ. ანიკო კი ისევ კუთხეში იდგა და კანკალებდა.

— რა ვქნა? რა ვქნა? იმეორებდა ის სასოწარკვეთილებით.—სად წავიდნენ, რა იქმნენ, რა დაემართათ? და თან ხელებს იმტვრევდა მწუხარებით.

ბოლოს ძლივ-ძლივობით შებედა და ჰკითხა ერთ მოსამსახურეს:— მოჩხუბარ ყმაწვილებს რა დეემართათ, რა იქმნენ?

— პოლიციაში წააბძანეს! ცივად მიუგო ფრაკში გამოწყობილმა ლაქიამ და გაფითრებულ ანიკოს გულ-გრილად ზურგი შეაქცია და თავის საქმეს გაუდგა. — პოლიციაში, პოლიციაში?! შეჰკივლა ქალმა და ისტერიულად აქვითინდა.—მე რალა ვქნა!..

მოტირალი შენიშნეს, აქეთ-იქიდან გამოეხმაურნენ, გამოჰკითხეს, ანუგეშეს და ერთმა მოცეკვავე აფიცერმა იმდენი სულგრძელობაც იქონია, რომ სახლში წაყვანაც კი იკისრა უპატრონოდ დარჩენილისა.

— ღამე მშვიდობისა, მშვენიერო კნიაჟნა, მაგრა ხელის მოჭერით და დიდ-მნიშვნელოვანის ღიმილით უთხრა გამოთხოვების დროს ანიკოს აფიცერმა:—ნებას მიბოძებთ ხვალ დილით გიახლოთ თქვენის კავალრების ამბის შესატყობად? და თუ სიჭირო ვიქნები დასახმარებლადაც?

— ოჰ! გმადლობთ, ბატონო, თქვენ დიდი ნუგეში მეცით. ხვალაც ისე მოგელოდებით, როგორც ჩემს მხსნელს! წრფელის გულით მიუგო უბედურმა ანიკომ აფიცერს და მარტოთ-მარტო შეიკეტა იმ მებელით მოწყობილ ოთახში, სადაც ბიძიამ ამ ექვსის თვის წინად დაასახლა და საიდანაც ამ სალამოს მრავალი ბედნიერების მოლოდინით აღფრთოვანებული და-ძმა კრუეოკში წასასვლელად გამოვიდნენ.

ანიკომ ღამე უძილოთ გაატარა და მხოლოდ ამ უძილო და უბედურ ღამეს პირველად თვალწინ წარმოიყენა ექვსის თვის განმავლობაში ჩადენილი საქმენი. თავისი და თავისის ბიძია-ძამიასი.

რაც ქალაქში ვართ თითქმის ექვსასი თუმანი დავხარჯეთ... ექვსასი თუმანი! ღმერთო ჩემო! ეს ხომ მთელი ჩვენი ცხოვრება გავფლანგეთ! ახლა რალა უნდა ვქნათ, სახლში რალა პირით უნდა დავბრუნდეთ? ან მღვდელ ონოფრეს რილათი-ღა უნდა გაუსწორდეთ?.. ჩვენი ნახევრად დანგრეული სახლი რითი უნდა შევასწორეთ, ან მამიკას რა უთხრათ?.. იმის წილი რალათ შვთანთქეთ?!.. ოხ, მაცხოვარო! რად წამართვი გონება, რად დამაბრმავე ექამდე?.. გუშინ ვანიკომ ის ორი „ზაკლადნოი ლისტიც“ გამომართვა დასახურდავებლად, რომელიც ბიძიამ მე მაჰცა, ვითომ ჩემ წილად. მ, სულელი, უბედური, ისე ვიყავ გატაცებული ბალში წასვლის სამზადისითით, რო უარის თქმა თავშიაც არ მამსვლია... ბიძიას რად ავუეეიი? ბიძიას?!.. მაგრამ ვინ ბიძიას? სადაური ბიძიაა... საიდან მოგვევლინა?..—ვინ არის!—ხა, ხა, ხა! კვლავ ისტერიულად გადახარხარა ანიკომ და თან ტირილი მოაყოლა:—მატყუარა, მატყუარა!

*) იხ. სურათებიანი დამატება № 52.

ჩვენი დამღუპველი! ჩვენი გამძარცველი! ჩვენ, კი საწყლები, როგორ მივენდენით, როგორ გავალმერთეთ, თავი დავალუპინეთ... და კვლავ ტირილი, საშინელი ტირილი წასკდა ანიკოს.

— ნუ სტირით, მშვენიერო კნიაზნავ, ნუ სტირით! ხელებს უჭერდა, გულზე იკრავდა, ნამტირალევ თვალებზე სველ ხელსახოცს აფარებდა გუშინდელი აფიცერი ანიკოს.— მე მზად ვარ გემსახურეთ, მოვძებნო, უშველო რითაც კი შეიძლება თქვენ ძმას, ანუგეშებდა გუშინდელი აფიცერი, რომელიც დილა ადრიან თავს წამოადგა მტირალი ანიკოს. — ოხ, ოხ! რომ იცოდეთ რა უბედური ვარ! რომ იცოდეთ, როგორ დავიღუპენით?! კვლავ ისტერიულად ქვითინებდა ანიკო და აფიცერიც სცდილობდა დამშვიდებას: თვალებს სწმენდდა, უალერსებდა. ნუ სტირი, ჩემო ანგელოზო, ჩემო ჩიტუნია, ჩემო საწყალო ჩიტუნია და თან ამ ალერსთან ისე გათამამდა ახლად შეძენილი მეგობარი, რომ ნამტირალევი თვალებიც გადაუკოცნა...

ანიკო გონს მოვიდა, გამოფხიზლდა და გარდამეტებული ნუგეში იუარა. იმან საჩქაროდ მიიწია. ნახევარზე ტიტველა გულ-მკერდზე შალი მოიხურა, მწუხარებით წამოწეწილი თმები აიკრიფა და მოკრძალებით წარმოსთქვა:

— გმადლობთ, გმადლობთ! ახლა ადარა მიშავსრა. ახლა თუ შეგიძლიანთ რამე დამეხმარეთ, შემიტყეთ: სად არის ჩემი ძმა, რა მდგომარეობაშია იმის საქმე.

აფიცერიც დატრიალდა, გაიქცა-გამოიქცა და სამი დღის შემდეგ გამოირკვა, რომ სვიმონი „შულეროპისთვის“ ციხეში ჩაესვათ და ვანიკო კი პოლიციაში იჯდა ხანჯლის ხმარებისათვის და საზოგადო წესიერების დარღვევისთვის და თუ როდის განთავისუფლდებოდა ჯერ ეს კი გამორკვეული არ იყო. ანიკო მარტოდ-მარტო დარჩა. უშველებელ ქალაქში, იმას არავინ ეგულებოდა მეგობარი, კეთილი ნაცნობი, ნათესავი, რომ თავი შეეფარებინა. იმის მდგომარეობა საშინელი იყო, მით უმეტეს, რომ გრეში არსად ვაჩნდა. პირველ დღესვე სასტუმროს პატრონი ბრიყვულად მოექცა და ნომრების დაცლა სთხოვა. ჩაი და საუზმე თავის დროზე ადარ მოართვეს. მოახლე, რომელიც მთელს ექვს თვეს დიდის მორჩილებით ემსახურებოდა, ულაქუცებდა და ქებადიდებას შეასხავდა ანიკოს სიმშვენიერეს, დღეს მხოლოდ ოთახის კარებში შემოდგა და იქიდან ღიმილით უთხრა:— კნიაზნა, თქვენ კიდეც ჩაგიცვამთ? მაგრამ ისევ ადრე გეუვიათ აფიცერი, რომ... და თან სიცილით დაუმატა:—პაშმაკების შეკვრაც კი ნოგიხერხებიათ...

— აგრე უნდა, აგრე; მეტი რა გზაა, ეხლა ყოველივე უნდა გეიკეთოთ...

— კარგი წადი... მე ყველაფერს თითონ გავაკეთებ.

— კი, გააკეთებ, მა მეტი რა გზა გაქვს, შე საწყალო! ღიმილით წაიტუტუნა მოახლემ და კარი ვაიბრახუნა.

ანიკომ ბევრი ეძება ქალალდებ შუა ფული, მაგრამ ვერსად ვერ იპოვნა. სტოლის უჯრის გასალებაც კი ვანიკოს წაჰყოლოდა. ანიკო დღეს მშიერი იჯდა და თუ ვანიკოს დღეს-ხვალ არ გაანთავისუფლებდნენ, ქუჩაში გაგდების იშიც მოელოდა.



ახლი სოფ. ქვემო ჭალაში, რომელიც მარიამ ზაქარიას ამილახვრის ასულმა ეგაძისამ შესწირა სათ.-აზნ. გიმნაზიას.

ახალი მეგობარი ფუსფუსებდა, დარბოდა, თითქო სცდილობდა საქმის შველას, მაგრამ იმას ეტყობოდა, რომ ანიკოს მარტოობა უფრთ მოსწონდა და იმის ძმის განთავისუფლებას არ ეჩქარებოდა. ანიკოს უმოწყალეო მდგომარეობა მეტს სითამამეს აძლევდა აფიცერს და იმის საქციელი ყმაწვილ ქალთან სამზღვარს გადადიოდა.

სასტუმროს მოსამსახურეთ, ეს რასაკვირველია, არ გამოეპარათ და მასხარაობა დაიწყეს!—კნიაზნამ ორი კნიაზი დაჭკარგა და ერთი გაფხეკილი აფიცერი იპოვნა. ვერაფერი სამაგიეროა, მაგრამ რა გეეწყობა; როცა არ იყვეს, ცოტაც კმარიყვესო, ოხუნჯობდნენ ისინი.

ანიკო კი გულუბრყვილობით ვერას ამჩნევდა. თავის ერთად-ერთს მსხნელს და თანამგრძნობელს დასდევდა ყველგან, სადაც კი ის ურჩევდა თხოვნის შეტანას, პირად თხოვნას ძმის გამოსასხნელად.

დრო გადიოდა და აფიცერი თან-და-თან მეტს სითამამეს იჩენდა, ერთ საღამოს მომატებულად დიდხანს იჯდა. შუა ღამე ვადასული იყო. ანიკო, რაღაც ინსტიქტიურმა შიშმა აიტანა.

— ბატონო! ახლა დროა თქვენის წასვლისა, გულის კანკალით და მოკრძალებით უთხრა გათამამებულს მხედარს ქალმა. მე მინდა დავიძინო...

— თქვენ ტყუილად მითხოვთ, კნიაზნავ; ხვალ ხომ ისევ აქ უნდა მოვიდე. წასვლა-მოსვლას რა ჭკუა აქვს... მაინც სუყველანი ისე გიყურებენ, როგორც ჩემ ჭეგობარს... საცოლეს... შემდეგ ყოყმანით დაუმატა.

— საცოლეს? თქვენ გინდათ ჩემი „ჟენიხი“ გახდეთ? გულუბრყვილოდ და მოკრძალებით შეეკითხა ანიკო აფიცერს

და თან თვალებში შეაჩერდა, თითქო იქ უნდა ამოეკითხა ნამდვილი განხრახვა თავადის მხედრისა.

— რატომაც არა... თუ ნებას მომცემთ დარჩენისას „ჟენიხათაც“ ვიქცევი... ოხ, მშვენიერო, ნუ გამაგდებ! თუნდ რა გამაკდო კიდეც, წასვლას ველარ მოვახერხებ... მე უთქვენოდ სიცოცხლე ადარ შემიძლიან... მე თაყვანს გცემ... ჩემო კარგო მშვენიერო! ღმერთმა მე მიბოძა შენი თავი, შენ ჩემი ხარ! და უცებ მუხლებზე დაეცა შემკრთალის, გონება მიხდილის ქალის წინ და თავი იმის კაბის კალთაში გაახვია.

— რას ამბობთ, ბატონო, როგორ შეიძლება აქ დარჩენა?!.. თქვენ, მე მგონი, ჩემის უბედურებით სარგებლობთ... თქვენ გინდათ შეურაცყოფა მომაყენოთ!.. მამეშვით, თორემ დავიყვირებ...

— მე თქვენი ჟენიხი ვარ, თქვენი ერთად-ერთი მფარველი, მეგობარი... რისა გეშინიანთ? როცა თქვენი ძმა განთავისუფლდება, ჯვარსაც დავიწერთ. განა თქვენ კი არ გიყვარვართ? არ მენდობით? განა აქ ამ საძაგელ სადგურში, უმგზავს მოსამსახურეთა შუა უფრო საშიშიც არ არის თქვენი მარტოდ-მარტო ყოფნა?.. რად ტირით?.. მომენდეთ... ხელი მიბოძე, ჩემო მშვენიერო, კეთილო... მე თქვენთვის გაგიჟებული ვარ... თავს განაცვალებ... ნუ კანკალებ... ჩემი ხარ... ჩემი სატრფო... ჩემი საყვარელი... ჩემი...

— კუკნიანი აქა სდგანან? უცებ მოისმა სასტუმროს გრძელ და მაღალ კორიდორში ბოხი და რიხიანი ხმა ონოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. ოძისი (დუშეთის მაზრა). წვრილ კრედიტის ამხანაგობის გახსნა. ამხანაგობის წევრნი.

რე ღვდლისა და საყვირივით გაისმა თავიდ-ბოლომდე მთელ სართულში.

აქედ-იქიდან გამოცვივდნენ მთელი ჯგუფი ახლად დაძინებულის მოსამსახურეთა.

— რა გაყვირებთ?! ხომ დააფთხეთ მდგმურები! აქანას არიან, აგერ მეჩვიდმეტე ნომერში. კნიაჟნა შინ ბძანდება და ვგონებ სტუმარიც ჰყავს. მიუგო ონოფრეს ერთმა მოსამსახურეთაგანმა და თან საზიზღარის ღიმილით გადახედა ამხანაგებს და ცინიკურად წაიჩურჩულა:—ნიშნის კურთხევა ქვე დაგვიანა ამ პატიოსანმა ხუცესმა...

— მამაო ონოფრე! თქვენ აქა ხართ? ღმერთო ჩემო, რა რიგ მიხარიან! კივილით გამოვარდა ანიკო ოთახიდან და გულზე მიესვენა დროზე მოსულს მამა ონოფრეს, რომელმაც ერთხელ კიდევ გადაარჩინა ეს საწყალები განსაცდელს და დაუყონებლივ ლამისყანას დაუბრუნა.

ეკ. გაბაშვილისა.

მეჩონგურე ბიჭია

არა ერთხელ და ორჯელ დაუკვნესებია თავისი ჩონგური ბიჭიას. არა ერთხელ და ორჯელ შემოუკრებია ბიჭიას გარშემო ხალხი მის ჩონგურის სიმთა ჟღერას!

როცა ბიჭია უკრავდა, ჩონგურის მელოდიური ხმა ხიბლავდა მსმენელთ და თითოეულის სახეზე ხატავდა სულის გამოურკვეველ მოძრაობას. ვის ღიმილი გადაურბენდა პირზე, ვინ თავს ჩაჰკიდებდა და წარბებ-შეკრული ძირს იყურებოდა, ვინ თავ-აწეული ცას შეჰყურებდა, თითქოს ლაჟვარდოვანი ცის სივრცეში ჰპოულობდა ჩონგურის ჰანგთა გამოხატულებას...

თითონ ბიჭია კი დაიპატარებდა თვალების ქუთუთოებს, გადახედავდა ხალხს და ფრთხილად შეახებდა თითებს საყვარელს სიმებს. პირველს დაჟღერებაზე დახუჭავდა თვალებს, გულის ყურს მიაპყრობდა ჰანგთა თრთოლვას და შემდეგ თამამად აამეტყველებდა თავის მორჩილს ჩონგურს. მაშინ თვალებსაც ახელდა იგი და აპყრობდა ჰორიზონტს.

ბიჭიას ჩონგური დამაღონებელი იყო, სევდის მომგვრელი. მისი მელოდია მილეული და დაბალი, ვით ნორჩი სიყვარულის სასოწარკვეთილი ამოკვნესი, გაუბედავად გამწყრალი, ვით ობოლის დაკოდილი გულის ჩივილი, ნელად არხევდა ჰაერს, ვით მთათა შორის მდინარის ტანის გაყოლებაზე მოარული სუბუქი ზეფირი, და მსმენელთა გულში იჭრებოდა! ტყვედ შეიქმნა გულს, აატოკებდა. მთელს სხეულს დაივლიდა იგი, სულს დაიპყრობდა, მის თითოეულს კუნჭულში ჩასწვდებოდა, და ბოლოს, ცრემლის მარგალიტ ცვარად ქცეული, თვალით აღმოვიდოდა, აგზნებულს ლაწვზე დაშრებოდა...

**

წინად კი ბიჭიას ჩონგური ასე არ კვნესოდა; პირიქით, იგი სიხარულს გამოჰხატავდა. იტყოდნენ, წინედ ბიჭია ისეთს სამხიარულო ჰანგებს დაუკრავდა, რომ მთელს სოფელ აღფრთოვანებაში მოიყვანდაო! სოფელიც მაშინ სიხარულით ისმენდა და ყოველთვის აღტაცებით ეგებებოდა ბიჭიას ჩონგურს! მაშინ სოფელსაც სხვა ელფერი ჰქონდა, თავის თავის უფალი იყო, და რა მუშაობასა და გარჯაში არ ყოფილიყო, ბიჭიას მხიარულს ჩონგურს მაინც სიამით ისმენდა.

ბიჭიას მეზობელს ყარამანს, ღრმად მოხუცებულს კაცს, კარგად ახსოვს, რომ წინედ ბიჭია არც ერთს ქორწილს არ გამოუშვებდა.

— ჩვენი სოფლის ვარდის კოკორი იფურჩქნება და ჩემი ჩონგურის ქება უნდა ვასმინოო!—იტყოდა თურმე.

ახლა კი ბიჭია გამოცვლილია. დიდი ხანია მის ჩონგურს სასიხარულო, ტკბილი ჰანგი არ აუთრთოლებია. წინედ თუ მხიარული სახე ჰქონდა, თვალები მოცინარი და იმედოვანი, ახლა მისი სახე რაღაც ჯავრითაა დასერილი, თვალებიდან მწუხარება და ღრმა წუხილი გამოჰკრთის.

ნაცვლად სიხარულისა, მას ახლა სულის მწუხარება წუხილის გამოთქმა უფრო ეხერხება.

სოფელს კარგად ესმოდა ბიჭიას ჩონგურის საიდუმლო, და ამიტომ აღარ ჰკითხავდა ცვლილების მიზეზს.

ხოლო ერთმა, შორით მოსულმა, ჰკითხა ბიჭიას:

— რომელმა ყორანმა დასჩხავლა შენს ჩონგურს, ბიჭი? რომელმა მზაკვარმა შეაჩერა მას შავბედიანი თვალები?

— სწორედ იმ ყორანმა, რომელიც ახლაც დასჩხავის სოფელს, სწორედ იმ მზაკვარმა, რომლის თვალებმა ასე გაატიალა სოფელი!—უპასუხა ბიჭიამ.

**

ცვლილება შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია.

ერთს საღამოს ბიჭია სოფლის გორაკზე იჯდა და ჩონგურს აჟღერებდა თითონაც ნელის ხმით დაჰღიღინებდა. გორაკს ახლო უვლიდა სოფლის შარა გზა. საქმიანი დღე იყო, და მუშაობით მოქანცული გლეხები ბრუნდებოდნენ ყანიდან შინ. ბიჭიას უნდოდა ჩვეულებრივ შემოეკრიბა ისინი გარშემო და გაემხიარულებინა მაგრამ ამ საღამოს ყველამ გვერდს

სოფ. დიდი ლილო (ტფილ. მაზრა). წვრილი კრედიტის ამხანაგობის გახსნა. ამხანაგობის წევრნი.

აუხირა ბიჭიას. მისი ახლო მეზობელიც არ შეჩერდა და არ უსმინა ჩონგურს. ამან გააკვირვა ბიჭია.

— ნუ თუ ჩონგურმა მიღალატა? ან იქნებ სმენა წამერთო. ვერ ვატყობ, რომ ცუდად ვუკრავდე?

დახედა ჩონგურს, ხელმეორედააწყო სიმები და ჩამოჰკრა. ჩვეულებრივად ათრთოლდნენ სიმები, და ტკბილი ჰანგები საამოდ გაისმა ჰაერში.

მაგრამ არავინ მიიზიდა ჩონგურის ხმამ. დაღონდა ბიჭია, დაფიქრდა. ამ დროს გამოიარა მოხუცმა ყარამანმა, შეჩერდა და ასეთი სიტყვებით მიმართა ბიჭიას:

— ნეტავ შენ, ბიჭია! სოფელს წილად ვაება ხვდომია, შენ კი ნეტარება და სიხარული. ჩიტსაც კი გული ეთუთქება და გულნატკენი მოსთქვამს! მდინარე წყაროსაც კი ჩასწვდენია სოფლის შხამი და მის რაკრაკშიც გაისმის სოფლის გულისთქმა, სოფლის ქვითინი! ნეტავ შენ!! ნეტავ შენ, რომ იმედებს არ გითელავს შავი ცხოვრება!.. ნეტავ შენ, რომ შენს ოცნებებზე არ დანავარდობს ტიალი ცხოვრება, ნეტავ შენ, ბიჭია!!

ასე უთხრა ყარამანმა ბიჭიას და განაგრძო თავის გზა.

მზის უკანასკნელი სხივი მოსწყდა ცის-კიდურს...

ბიჭია ჩაფიქრდა.

ამ დროს ტყიდან სოფელს გადმოკვნესა ბულბულმა. ამ ამოკვნესას სოფლის შუა გულმა ამოსძახა ამოოხვრით: ბიჭიას მოესმა:

— ვინ ხარ, თავხედო, რომ იცინი, იღიმი, როცა ერი ჭირში იმყოფება!?

სწრაფად აიღო ბიჭიამ ჩონგური, დასჭიმა სიმები და მძლავრის აკორდით შეარხია ჰაერი. დაიწრიალა აკორდმა, მაღლად აფრინდა და შეტორტმანდა სივრცეში, გაშალა ფრთები და ის იყო უნდა შემოეკრა ერთმანეთისთვის, რათა მოემწყვდია შიგ მთელი ძლიერება მისი შემქმნელი ვნებისა, რომ ჩონგურზე ერთი სიმი გასწყდა და შესაბრალისად ჩაიწივლა.

— ა?—ყრუდ გამოეხმაურა ბიჭია გამწყდარს სიმს!— ვერ გამოსახავ განა სოფლის გულის თქმას? არ ვარგიხარ ჩონგურო?

ზე წამოიჭრა, მთელი ტანი უცახცახებდა.

— მაშ, არ ვარგიხარ?

და ჩონგური მიწაზე დაანარცხა და ყრუდ ამოსძახა მიდამომ ჩონგურის დამსხვრევის ხმას... ყრუდ გაიგმინა ბიჭიას გულმაც...

**

დიდმა ხანმა განვლო ამის შემდეგ. ბიჭიამ ბოლოს შეიძინა ახალი ჩონგური, მაგრამ არ დაუკრა. დადიოდა იგი სოფლად და უკვირდებოდა სოფელს. ხან მინდორში იყო ხან ურემზე იჯდა და ცხარე ცრემლს აფრქვევდა, როცა შუა ღამისას სადმე ორღობიდან გამოისმოდა ნაღვლიანი ურმული—ხან მძიმე, ვით ურმის სიარული, ხან გრძელი, უბოლო, ვით საურმე გზა, ხან ნელი, მსუბუქი, ნაზი და წარმტაცი, ვით მთისის ღამე!..

ასე იყო ბიჭია დიდ-ხანს, გამოიცვალა სახითაც.. სოფელს არა უთქვამს რა მისთვის, ერთხელაც არავინ შეჰკითხებია:

— რატომ არ უკრავ, ბიჭი, ჩონგურზე?

ბოლოს ფრთხილად აიღო ბიჭიამ ჩონგური და დიდის მოკრძალებით შეეხო სიმებს.

დაემორჩილნენ სიმები ბიჭიას. ჩაიკვნესეს, ჩაიცრემლქვითინეს...

მოჰყვა სოფელს საუცხოვოდ გაჰანგებული სოფლისვე გულის თქმა, სოფლის ფიქრები!..

ყველას დაავიწყდა, რომ ბიჭია წინედ სამხიარულოდ უკრავდა: მას შემდეგ ხომ დიდმა ხანმა განვლო...

ლეო ქიაჩელი.

წვრილი ამბები

106 წლის მოხუცი. ამას წინედ ქ. ლოძში 106 წლის მოხუცი ლეიბოვიჩი გარდაიცვალა. ლეიბოვიჩი ლოძში 98 წლის წინედ მისულა, როდესაც 8 წლის ბიჭი ყოფილა და ლოძი კი—პატარა სოფელი. ლოძი მის თვალ-წინ გაიზარდა, უზარმაზარ მწარმოებელ ქალაქად იქცა. პოლონეთის 1831 წ. აჯანყების დროს ლეიბოვიჩი პოლონელთა ჯარში ჩაწერილა და ძალიანაც უსახელებია თავი. თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ გამხდარა ავად. შთამომავლობა დიდი დარჩენია: 13 შვილი, 72 შვილიშვილი და 148 შვილი-შვილის-შვილი და 96 შვილის-შვილის-შვილის-შვილი. სულ 259 სული. უმფროსი შვილი 73 წლისაა, უმცროსი 19.

ცხვირი-კვნეტია. პარიზის სასამართლომ ამას წინედ ერთი საქმე გაარჩია.

28 წლის ეჟენ გალიეს გაგიჟებით შეჰყვარებია ახალგაზდა ქალი ელენე ლემერი. ქალსაც დიდ-ხანს გაუწევია თანაგრძნობა. მაგრამ ელენეს, ქალთა წესისამებრ, საუკუნოდ ვერ შეარჩენია თავის სატრფოს, კალიეზე კუდი აუქნია და ახლოც არ მიჰკარებია. გალიეს ძლივს მოუხერხებია და ქალი პაემანზე დაუბარებია. ვერც ხვეწნა-მუდარას, ვერც მუქარას ქალზე ვერ გაუჭრია და გალიესათვის მას ცივი უარი უთქვამს. გამოთხოვებისას, გალიეს უთხოვნია, ნება მომეც უკანასკნელად გაკოცოთ. როცა ქალს ნება მიუცაა, გალიეს ქალის თავი ხელში მაგრა დაუჭერია და ცხვირი მოუკვნეტია. დამახინჯებული ქალი $2^{1}/_{2}$ წ. წოლილა საავადმყოფოში. სასამართლომ გალიეს 13 თვით ციხე მიუსაჯა..

დამსახურებული ძაღლი. ბოსტონში (ამერიკა) მოკვდა ერთი ძაღლი, რომლის ჩონჩხი დიდის პატივისცემით გადატანილ იქმნა ბოსტონის მუზეუმში. ამ ძაღლს 500 მედალი ჰქონდა ჯილდოდ...

ასეთი ჯილდო ამ ძაღლს მისცეს... მოგზაურობისათვის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ოდნიმ“ (ასე ეძახდნენ ამ საკვირველ ძაღლს) თავისი სიცოცხლეში იმდენი ვერსი გაიარა, რამდენ არშინსაც ჩვეულებრივი ძაღლი გაივლის ხოლმე.

მოგზაურობამ ოდნი გაიტაცა მას შემდეგ, როდესაც იგი პირველად ტუნელში წავიდა: ჩუმად შეიპარა საფოსტო მატარებელში, და ასე 150 მილი გაიარა. ამ მოგზაურობის შემდეგ ოდნი სავსებით მიეცა ახალ ქვეყნებისა და ადგილების გამოკვლევა—მიმოხილვას.

რამდენიმე წლის შემდეგ ოდნი ერთს ახლად გახსნილ რკინის გზაზე გადავიდა და ერთ მატარებელში 10 წელიწადი დაჰყო. ძაღლი ოფიციალურად „იშვილა“ რკინის გზათა უწყებამ ამერიკაში.

დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ ოდნის მედალით აჯილდოვებდნენ.

ოდნის არა ერთხელ გადმოულახავს ოკეანე, მაგრამ იგი მაინც დიდი პატრიოტი იყო და... ყველაზე უფრო თავისუფალი ამერიკა უყვარდა.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“